KA030143833647420

№ 01-4101 **01 / მაისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს
პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის
გიორგი ჭავჭავაძის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მწვავე რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტებისა და COVID-19 შესაძლო და დადასტურებული შემთხვევების მართვის მიზნით, სოფელ რუხის შპს "აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკაში", ინფექციის კონტროლის ღონისძიებების შეფასებისა და პერსონალის ადგილზე კონსულტირების მიზნით, პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი მარინე ბაიდაური და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ალისა წულაძე 2020 წლის 4-6 მაისს მიემგზავრებიან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რუხში. მარინე ბაიდაურისა და ალისა წულაძის დღიური და სასტუმროს ხარჯი ანაზღაურებული იქნება აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების საქართველოს ოფისის მიერ.

დამატებით გაცნობებთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს თანამშრომელთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს დამხმარე მომსახურე (მძღოლი) - გოჩა გოგინაშვილი, ავტომანქანით „KIA Cerato“ სახ.№ MOH-010.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს შესაბამისი პროცედურების წარმოება სატრანსპორტო საშუალებით და მძღოლის (დღიური და სასტუმროს ხარჯი (2 დღე)), საწვავის ჩათვლით, - უზრუნველყოფის მიზნით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

გიორგი ჭავჭავაძე